პროექტი

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

# დადგენილება

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 67-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა".
2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე                    დავით გაბაიძე

ბათუმი,
2021 წლის
№

# განმარტებითი ბარათი

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“**

ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 67-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭომ მოამზადა დადგენილების პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის (შემდგომში - სამოქმედო გეგმა) დამტკიცების შესახებ“.

ინიცირებული მომზადებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით.

სამოქმედო გეგმა განხილული და ერთხმად მოწონებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ.

დოკუმენტზე მუშაობის პროცესში ჩატარდა სიტუაციური ანალიზი და სამაგიდო კვლევა, მათ შორის "აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის ღონისძიებათა 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის" შეფასების მიზნით. ამას გარდა, ხარისხობრივი ინფორმაციის შეგროვების მიზნით, ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან. მათ შორის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მოქმედ და ყოფილ წევრებთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი შტოს წარმომადგენლებთან, აჭარის მუნიციპალიტეტების, მათ შორის მუნიციპალიტეტებში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოების წარმომადგენლებთან, სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებთან, აჭარის რეგიონში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენლებთან.

ინფორმაციის შეგროვებასთან ერთად, ჩატარდა SWOT ანალიზი და განისაზღვრა აჭარის ავტონმიური რესპუბლიკის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის პრიორიტეტები 2021-2023 წლებისთვის.

ბ) დადგენილების პროექტის არსი

სამოქმედო გეგმა შედგება 5 ძირითადი მიზნისაგან:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე უწყებათაშორისი კოორდინაციის გაძლიერება და ინსტიტუციური მექანიზმების გაუჯობესება;

2. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის გაძლიერების ხელშეწყობა მონაცემებზე დაყრდნობილი პოლიტიკის წარმოების, თანამშრომლობის და ცნობიერების ამაღლების გზით;

3. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა;

4. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა;

5. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქალთა პოლიტიკური გაძლიერების ხელშეწყობა.

თითოეული მიზანი მოიცავს ამოცანას, ამოცანის შედეგის ინდიკატორს, აქტივობას, აქტივობის შედეგის ინდიკატორს, შესრულების ვას, პარტნიორ უწყებას და რისკებს.

გ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი დადგენილების პროექტის მიღება:

დადგენილების პროექტი არ საჭიროებს საფინანსო-ეკონომიკურ გაანგარიშებას.

დ) დადგენილების პროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო.

ე) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: ფატი ხალვაში, მარინე გვიანიძე, ცოტნე ანანიძე, ილია ვერძაძე, ნადიმ ვარშანიძე, დავით თედორაძე, ირაკლი ჭეიშვილი, გიორგი მანველიძე.

ფ. ხალვაში

პროექტი

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

# გენდერული თანასწორობის საბჭოს

# 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა

## 1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმას 2021-2023 წლებისთვის.[1] აღნიშნული დოკუმენტი მომზადებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს (შემდგომში - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო) მიერ საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიზანია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეფექტიანი გენდერული თანასწორობის პოლიტიკას განსაზღვრა და მისი აღსრულების მონიტორინგი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გენდერული თანასწორობის საბჭო საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შეიმუშავებს გენდერული თანასწორობის პოლიტიკას და უზრუნველყოფს მისი შესრულების კოორდინაციასა და მონიტორინგს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

[1] წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის, სამოქმედო გეგმის (და შესაბამისი ანგარიშგების) პერიოდი განისაზღვრა 2021 წლის ივნისიდან 2023 ივნისის ჩათვლით

უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო საქმიანობის ფარგლებში უზრუნველყოფს საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებას, მათ შორისაა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება, ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (ე.წ. „სტამბულის კონვენცია"), გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველანაირი ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტები.

## 2. მეთოდოლოგია

აღნიშნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი მიმდინარეობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მჭიდრო თანამშრომლობით. მხარეთა ერთობლივ პრიორიტეტს პროცესის ინკლუზიურად წარმართვა წარმოადგენდა.

დოკუმენტზე მუშაობის პროცესში ჩატარდა სიტუაციური ანალიზი და სამაგიდო კვლევა, მათ შორის "აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის ღონისძიებათა 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის" შეფასების მიზნით. ამას გარდა, ხარისხობრივი ინფორმაციის შეგროვების მიზნით, ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან. მათ შორის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მოქმედ და ყოფილ წევრებთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი შტოს წარმომადგენლებთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების, მათ შორის მუნიციპალიტეტებში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოების წარმომადგენლებთან, სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებთან, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენლებთან.

ინფორმაციის შეგროვებასთან ერთად, ჩატარდა SWOT ანალიზი და განისაზღვრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის პრიორიტეტები 2021-2023 წლებისთვის.

შემუშავებული დოკუმენტი "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა 2021-2023 წლებისთვის" წარედგინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად.

## 3. სიტუაციური ანალიზი

### 3.1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა არის ტერიტორიული ერთეული, რომელიც საქართველოს განუყოფელი ნაწილია და მასში სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი პრინციპების საფუძველზე.[2]

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკა მოიცავს ექვს მუნიციპალიტეტს. კერძოდ, ბათუმის, ქედის, ქობულეთის, შუახევის, ხელვაჩაურის და ხულოს მუნიციპალიტეტები.

2021 წლის მონაცემებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა შეადგენს 354,900 ადამიანს.[3] მოსახლეობის 60% აჭარის ქალაქებში, ბათუმში (48.5%) და ქობულეთში (20.2%) ნაწილდება. ხელვაჩაურში მოსახლეობის 14.9%-ია. მაღალმთიანი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდია ხულოს (7.5%) მუნიციპალიტეტი, ხოლო შუახევსა (7.5%) და ქედაში (4.7%) მოსახლეობა თითქმის თანაბრადაა გადანაწილებული.[4] (იხ. გრაფიკი 1).

[2] "საქართველოს კონსტიტუციური კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ", (2004), გამოქვეყნებულია https://matsne.gov.ge/ka/document/view/30442?publication=3

[3] საქსტატი. გამოქვეყნებულია https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba

[4] საქსტატი. გამოქვეყნებულია https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba

გრაფიკი 1. მოსახლეობის განაწილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში




აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებათა საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია.[5]

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საკანონმდებლო საქმიანობას და ზედამხედველობას უწევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო შედგება 4 წლის ვადით არჩეული არა უმეტეს 21 დეპუტატისგან.[6]

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ხელისუფლებას და განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. მთავრობა შედგება

[5] "საქართველოს კონსტიტუციური კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ", (2004), გამოქვეყნებულია https://matsne.gov.ge/ka/document/view/30442?publication=3
[6] იქვე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრებისაგან. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინაშე.[7]

### 3.2. გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განსაზღვრა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის პოლიტიკას განსაზღვრავს და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან კოორდინირებულ მუშაობას უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გენდერული თანასწორობის საბჭოს სტატუსი, ფუნქციები, უფლებამოსილება და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან ურთიერთობა განისაზღვრება რეგლამენტითა და გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით,[8] რომელსაც ამტკიცებს უმაღლესი საბჭო.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო ხელს უწყობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ გენდერულ სფეროში ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას, გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნისა და განვითარების უზრუნველყოფას, შესაბამისი სამოქმედო გეგმის განხილვასა და დამტკიცებას, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და ქალთა გაძლიერების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელებას.[9]

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო უფლებამოსილია შეიმუშაოს გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განსახორციელებელი სამოქმედო გეგმა და უზრუნველყოს ამ გეგმის შესრულების კოორდინაცია და მონიტორინგი, განახორციელოს აჭარის ავტონომიური

[7] იქვე
[8] დოკუმენტი გამოქვეყნებულია http://sca.ge/res/docs/umag-sabch-dadgenileba-genderis-debulebaze.pdf
[9] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება, (2017), გამოქვეყნებულია http://sca.ge/res/docs/umag-sabch-dadgenileba-genderis-debulebaze.pdf

რესპუბლიკის კანონმდებლობის ანალიზი და შეიმუშაოს წინადადებები კანონმდებლობაში არსებული გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად, საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საბჭოსთან ერთად დაგეგმოს და განახორციელოს სხვადასხვა სახის ღონისძიებები, შეიმუშაოს და დაგეგმოს ცალკეული ღონისძიებები გენდერული თანასწორობის მიღწევისათვის, ქალების და კაცების თანასწორი უფლებების რეალიზაციისათვის, გამოითხოვოს და მიიღოს გენდერული თანასწორობის საკითხის შესწავლასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, გარდა ისეთი დოკუმენტებისა, რომელთა კონფიდენციალურობაც დაცულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, განიხილოს გენდერული თანასწორობის დარღვევის თაობაზე წარმოდგენილი განცხადებები, დოკუმენტაცია და სხვა ინფორმაცია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინოს მათზე რეაგირება და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები, და სხვ.

ამას გარდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ექვსივე მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს გენდერული თანასწორობის ადგილობრივი საბჭოები. კერძოდ, ბათუმის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო, ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო, შუახევის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო და ხულოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო. (იხ. გრაფიკი 2) მუნიციპალიტეტებში მდებარე საბჭოები ხელს უწყობენ ადგილობრივ დონეზე პრიორიტეტების განსაზღვრას გენდერული თანასწორობის განმტკიცებისთვის, ცენტრალური და რეგიონული პრიორიტეტებთან თანხვედრას და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

2021 წლის ივნისის მონაცემებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შედგება რვა წევრისგან. აქედან 6 კაცი (75%) და 2 ქალი (25%). გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარეა ფატი ხალვაში, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - ცოტნე ანანიძე, საბჭოს წევრები: მარინე გვიანიძე, გიორგი მანველიძე, ჭეიშვილი, ილია ვერძაძე, ნადიმ ვარშანიძე, დავით თედორაძე.




## 3.3. მიმდინარე ტენდენციები და 2019-2020 წლებისთვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის შეფასება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შეფასება განხორციელდა, როგორც მის შესრულების ანგარიშზე დაყრდნობით,[10] ასევე ხარისხობრივი ინფორმაციის შეგროვებით. შედეგად, გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი ტენდენცია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის, როგორც პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის, მნიშვნელობა ერთხმად გააზრებულია საჯარო სფეროს წარმომადგენელთა მიერ.

[10] "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019-2020 წლების საქმიანობის ანგარიში", (2020), გამოქვეყნებულია https://bit.ly/3hhfuik

„მსგავსი დოკუმენტის არსებობა ნამდვილად მნიშვნელოვანია რეგიონისთვის. განსაკუთრებით იმიტომ, რომ დოკუმენტი, რომელსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო იღებს, ვრცელდება სრულად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაზე და პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტს წარმოადგენს."

*- აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი.*

2019-2020 წლებისთვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის მთავარ მიღწევად გენდერული კვოტირების საკითხი დასახელდა.

კერძოდ კი, "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში[11] 2020 წელს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შემდგომ 2028 წლამდე ჩასატარებელი უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავს პოლიტიკური პარტია, იმგვარად, რომ უსკოს თავმჯდომარისათვის წარდგენილი პარტიული სიის ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი.[12]

უმაღლესი საბჭოს 2028 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისა და ამ არჩევნების მომდევნო, 2032 წლამდე ჩასატარებელი უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავს პოლიტიკური პარტია, იმგვარად, რომ უსკოს თავმჯდომარისათვის წარდგენილი პარტიული სიის ყოველ სამეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი.[13]

შედეგად, 2020 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩეულ 21 წევრს შორის სამი ქალია, რაც 14 პროცენტიან წარმომადგენლობას უტოლდება. 2016-2020 წლების მოწვევის უმაღლეს საბჭოში 21 წევრიდან მხოლოდ ერთი იყო ქალი (4.7%). ყველაზე მეტი ქალი 2012-2016

---

[11] "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი. გამოქვეყნებულია https://bit.ly/33wEsSP

[12] იქვე

[13] იქვე

წლების მოწვევის უმაღლეს საბჭოში იყო, კერძოდ კი წევრთა შორის ოთხი ქალი იყო (19%). 2008-2012 წლების მოწვევის საბჭოს 18 წევრიდან მხოლოდ ერთი იყო ქალი (5.5%), ხოლო 2004-2008 წლებში უმაღლესი საბჭოს 30 წევრიდან ოთხი (13%) იყო ქალი.[14] (იხ. გრაფიკი 3)

გრაფიკი 3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრთა განაწილება გენდერულ ჭრილში წლების მიხედვით




აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასებისას, საანგარიშო პერიოდში გამოწვევად სახელდებოდა შემდეგი საკითხები:

- კოორდინაციის ნაკლებობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს და როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო აქტორებთან,
- კოორდინაციის ნაკლებობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს და მუნიციპალიტეტებში არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოებთან,
- ცნობადობის დაბალი დონე, რაც თავისთავად იწვევდა მიმართვიანობის დაბალ დონეს, მათ შორის ოჯახში ძალადობის საკითხებზე,
- თანამშრომლობის ნაკლებობა საქართველოს სახალხო დამცველის ოფისთან,

[14] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, გამოქვეყნებულია https://bit.ly/2QayOTs

- თანამშრომლობის ნაკლებობა რეგიონში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მედიასთან.

აღსანიშნავია, რომ COVID-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ მნიშვნელოვნად შეაფერხა 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესი.

შეფასების შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტებში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოები წარმატებით თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ცვლიან ინფორმაციას გენდერული თანასწორობის გაძლიერების მიზნით ჩატარებული ღონისძიებების შესახებ. მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების მხრიდან პოზიტიურად შეფასდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის განსაზღვრის პროცესში მათი მონაწილეობა.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალურ დონეზე არამხოლოდ ხორციელდება თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, არამედ რამდენიმე მუნიციპალიტეტში ადგილზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებიც კი არიან.

შეფასებისას გამოიკვეთა, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ ტენდენცია და მოსახლეობის ცნობიერების ცვლილება გენდერული თანასწორობის გაძლიერების მიმართულებით, პოზიტიურად ფასდება. მაგალითისთვის, აღნიშნულ იქნა მნიშვნელოვნად შემცირებული მიმღებლობა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მიმართ. თუმცა, აქვე აღინიშნა, რომ სოციალური ცვლილებისთვის, რაც აუცილებელია ძალადობის აღმოფხვრისათვის, მნიშვნელოვანია მოსახლეობასთან მუშაობის გაგრძელება, განსაკუთრებით კი მაღალმთიან აჭარაში.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებების რეალიზაციის კუთხით არსებულ გამოწვევებს შორის, რესპოდენტების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შემდეგ საკითხებს:

- ეკონომიკური საჭიროებები და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელობა,
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრა,
- ტრეფიკინგთან ბრძოლა,
- ზრუნვის ეკონომიკასთან დაკავშირებული, მათ შორის ინფრასტრუქტურული საკითხები,
- ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისების არსებობა, განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში,
- სოციალური პროგრამების სიმწირე,
- პოლიტიკაში და გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალების ნაკლებობა (გამონაკლისის სახით აღინიშნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტრო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სამინისტრო),
- ახალგაზრდებთან მუშაობის და მათი ჩართულობის ნაკლებობა,

- მედიის მხრიდან დაბალი ინტერესი გენდერული თანასწორობის, გოგოების და ქალების გაძლიერების საკითხების მიმართ. განსაკუთრებით კი პოზიტიური საკითხების მიმართ,
- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის მიმართულებით არსებული მონაცემების ნაკლებობა,
- აჭარის **ავტონომიური რესპუბლიკის** მთავრობის პროგრამებსა და ქვე-პროგრამებში გენდერული თანასწორობის და ზეგავლენის შეფასების ნაკლებობა.

3.4. არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

ISFED-თან ერთად, შეფასებისას აღინიშნა თანამშრომლობა ისეთ საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციებთან, როგორიცაა გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი საქართველო (IRI), ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), ასოციაცია „ერთმანეთისთვის", ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისთვის, ევროკავშირისა და ნატოს საინფორმაციო ბიუროები აჭარაში.

3.5. მისია, ხედვა და პრიორიტეტები

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მისიაა ინსტიტუციური გაძლიერების გზით, ხელი შეუწყოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნას, რომლის თითოეულ წევრსაც ექნება თანაბარი შესაძლებლობა განახორციელოს საკუთარი უფლებები და თანაბრად ისარგებლოს სახელმწიფოში არსებული სიკეთეებით.**

გენდერული თანასწორობა, როგორც კონსტიტუციით განმტკიცებული ღირებულება წარმოადგენს პრიორიტეტს ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე.

აღნიშნული სამოქმედო გეგმის მიზანია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის გაძლიერების ზოგადი ხედვისა და კონკრეტული აქტივობების განსაზღვრა, რომელიც ითვალისწინებს ეროვნულ და ადგილობრივ საჭიროებებს; პასუხობს პოლიტიკის შემუშავებისათვის საჭირო მონაცემებზე მოთხოვნას; განსაზღვრავს გენდერული თანასწორობის გაძლიერების პრიორიტეტულ მიმართულებებს; უზრუნველყოფს შესაბამისი მატერიალურ-ფინანსური რესურსების განაწილებას; წარმოადგენს ჩარჩოს ეროვნული და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის; მოიცავს პოლიტიკის აღსრულების პროცესის ყველა საფეხურს და შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს.

2021-2023 წლებისთვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს პრიორიტეტები შემდეგნაირად განისაზღვრა:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე უწყებათაშორისი კოორდინაციის გაძლიერება და ინსტიტუციური მექანიზმების გაუჯობესება.
2. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის გაძლიერების ხელშეწყობა მონაცემებზე დაყრდნობილი პოლიტიკის წარმოების, თანამშრომლობის და ცნობიერების ამაღლების გზით.
3. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა.
4. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა.
5. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქალთა პოლიტიკური გაძლიერების ხელშეწყობა.

სოციალური გარდატეხის მიღწევის მიზნით, გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების შესახებ საჯარო მოხელეთა ცოდნის გაღრმავება და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება გამჭოლ პრიორიტეტად გასდევს სამოქმედო გეგმას.




აღნიშნულ პრიორიტეტებზე დაყრდნობით მომზადდა წინამდებარე სამოქმედო გეგმა.

## 4. ლოგიკური ჩარჩო

| | | | |
|---|---|---|---|
| მიზანი 1. | აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე უწყებათაშორისი კოორდინაციის გაძლიერება და ინსტიტუციური მექანიზმების გაუჯობესება | | |
| ამოცანა 1.1. | უწყებათაშორისი კოორდინაციის გაძლიერება | | |
| ამოცანის შედეგის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | საბოლოო მაჩვენებელი | დადასტურების წყარო |
| | კოორდინაციის ნაკლებობა, როგორც აღმასრულებელ, ასევე ადგილობრივ თვითმმართველობებთან | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებასა და ადგილობრივ თვითმმართველობებთან, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან კოორდინაცია მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია | ჩატარებული შეხვედრების ოქმები და მასალები |
| აქტივობა 1.1.1. | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოებთან რეგულარული საკოორდინაციო შეხვედრების ჩატარება | | |
| აქტივობის შედეგის | საბაზისო მაჩვენებელი | საბოლოო მაჩვენებელი | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ინდიკატორი | მუნიციპალიტეტებში არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოებთან არ ტარდება რეგულარული საკოორდინაციო შეხვედრები | მუნიციპალიტეტებში არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოებთან ტარდება კვარტალში სულ მცირე ერთი საკოორდინაციო შეხვედრა. ჩატარებულია სულ მცირე 8 საკოორდინაციო შეხვედრა | |
| შესრულების ვადა | 2021 - 2023 | პარტნიორი ორგანიზაცია | IFES |
| პარტნიორი უწყება | ბათუმის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო; ქობულეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო; ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო; შუახევის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო; ხულოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო | | |
| რისკები | | | |
| აქტივობა 1.1.2. | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებთან საკოორდინაციო შეხვედრების ჩატარება | | |
| აქტივობის შედეგის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | საბოლოო მაჩვენებელი | |
| | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებთან საკოორდინაციო შეხვედრები არ ტარდება | აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის გაძლიერების მიზნით გატარებული ღონისძიებების შეჯამების და მომდევნო 6 თვის განმავლობაში პრიორიტეტული აქტივობების განსაზღვრის მიზნით ჩატარებულია სულ მცირე 4 საკოორდინაციო შეხვედრა | |
| შესრულების ვადა | 2021 - 2023 | პარტნიორი ორგანიზაცია | IFES |
| პარტნიორი უწყება | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| რისკები | | | |
| აქტივობა 1.1.3. | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ჩართულობის გაზრდა | | |
| აქტივობის შედეგის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | საბოლოო მაჩვენებელი | |
| | აჭარის მთავრობის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები არ ესწრებიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შეხვედრებს | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები მოწვეული წევრის სტატუსით ესწრებიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შეხვედრებს, მათ შორის მუნიციპალიტეტებში არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოებთან საკოორდინაციო შეხვედრებს | |
| შესრულების ვადა | 2021 - 2023 | პარტნიორი ორგანიზაცია | IFES |
| პარტნიორი უწყება | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა | | |
| რისკები | | | |
| აქტივობა 1.1.4. | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ქალთა ოთახების მხარდაჭერა | | |
| აქტივობის შედეგის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | საბოლოო მაჩვენებელი | |
| | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლები არ ახორციელებენ | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლები სულ მცირე წელიწადში ერთხელ ახორციელებენ ვიზიტებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში მდებარე | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ვიზიტებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში მდებარე ქალთა ოთახებში | ქალთა ოთახებში მათი საქმიანობის შეფასების და კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით | |
| შესრულების ვადა | 2021 - 2023 | პარტნიორი ორგანიზაცია | IFES |
| პარტნიორი უწყება | ბათუმის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახი; ქობულეთის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახი; ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახი; შუახევის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახი; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახი; ხულოს მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახი. | | |
| რისკები | | | |
| აქტივობა 1.1.5. | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოებისა და მუნიციპალიტეტებში არსებული ქალთა ოთახების თანამშრომლობით ჩატარებული ღონისძიებები | | |
| აქტივობის შედეგის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | საბოლოო მაჩვენებელი | |
| | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების და მუნიციპალიტეტებში მდებარე ქალთა ოთახების თანამშრომლობით ღონისძიებები არ ტარდება | ჩატარებულია სულ მცირე 6 ერთობლივი ღონისძიება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების და მუნიციპალიტეტებში მდებარე ქალთა ოთახების თანამშრომლობით | |
| შესრულების ვადა | 2021 - 2023 | პარტნიორი ორგანიზაცია | IFES |

| | | | |
|---|---|---|---|
| პარტნიორი უწყება | ბათუმის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო; ქობულეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო; ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო; შუახევის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო; ხულოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო. ბათუმის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახი; ქობულეთის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახი; ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახი; შუახევის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახი; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახი; ხულოს მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახი. | | |
| რისკები | | | |
| აქტივობა 1.1.6. | აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე უწყებების ჩართულობით საკოორდინაციო ჯგუფის დებულების შემუშავება და ჯგუფი შექმნა | | |
| აქტივობის შედეგის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | საბოლოო მაჩვენებელი | |
| | აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე უწყებების ჩართულობით საკოორდინაციო ჯგუფი არ ფუნქციონირებს | ჩატარებულია კონსულტაციები მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან და მთავრობის წარმომადგენლებთან; გაწერილია საკოორდინაციო ჯგუფის მუშაობის წესი (დებულება); შექმნილია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე საკოორდინაციო ჯგუფი | |
| შესრულების ვადა | 2021 - 2022 | პარტნიორი ორგანიზაცია | IFES |
| პარტნიორი უწყება | აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე უწყებები | | |
| რისკები | | | |
| აქტივობა 1.1.7. | საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან თანამშრომლობის მემორანდუმის | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | გაფორმება | | |
| აქტივობის შედეგის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | საბოლოო მაჩვენებელი | |
| | საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან მცირე/არარეგულარული კოორდინაცია | საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი | |
| შესრულების ვადა | 2021 | პარტნიორი ორგანიზაცია | IFES |
| პარტნიორი უწყება | საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო | | |
| რისკები | | | |
| აქტივობა 1.1.8. | საკოორდინაციო შეხვედრები საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან | | |
| აქტივობის შედეგის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | საბოლოო მაჩვენებელი | |
| | საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან არ იმართება რეგულარული საკოორდინაციო შეხვედრები | საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან იმართება რეგულარული საკოორდინაციო შეხვედრები, სულ მცირე წელიწადში ერთხელ. ჩატარებულია სულ მცირე 3 საკოორდინაციო შეხვედრა | |
| შესრულების ვადა | 2021 - 2023 | პარტნიორი ორგანიზაცია | IFES |
| პარტნიორი უწყება | საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| რისკები | | | |
| აქტივობა 1.1.9. | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის ჩართულობა და მონაწილეობა საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობაში | | |
| აქტივობის შედეგის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | საბოლოო მაჩვენებელი | |
| | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე არ ესწრება საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შეხვედრებს | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ესწრება საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შეხვედრებს და მონაწილეობას იღებს საბჭოს მიერ გამართულ ღონისძიებებში | |
| შესრულების ვადა | 2021 - 2023 | პარტნიორი ორგანიზაცია | IFES |
| პარტნიორი უწყება | საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო | | |
| რისკები | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ამოცანა 1.2. | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერება | | |
| ამოცანის შედეგის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | საბოლოო მაჩვენებელი | დადასტურების წყარო |
